



OLAPARIB - LYNPARZA®

რა არის LYNPARZA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ოლაპარიბი	100 მგ-იანი აბი: ყვითელი, ოვალური 150 მგ-იანი აბი: -მონაცრისფრო-მწვანე, ოვალური კაფსულები და აბები ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებს 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.
თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 100 მგ-იანი აბი და 150 მგ-იანი აბი, რომელიც უნდა მიიღოთ 2-ჯერ დღეში, ყოველდღე.
უნდა გადაყლაპოთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დალეჭვის, განზავების ან გახსნის გარეშე.
მიიღეთ ფიქსირებულ დროს. საკვებთან ან მის გარეშე.
დავინწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ორი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს	  
უწყვეტლივ	         დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.
მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.
გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფრთხილებელი ზომები და შეთვალყურება
თქვენი მედიკამენტის მიღებას სჭირდება ბიოლოგიური კონტროლი (სისხლის საერთო ანალიზი, სისხლის ფორმულის მაჩვენებლების კონტროლს უზრუნველყოფს).
კონტრაცეფცია
ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).
მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
LYNPARZA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებულნი იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ
მაგალითი: მოერიდეთ კრაზანასა და გრეიფრუტის წვენის მიღებას LYNPARZA®-სთან ერთად.



რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	მომწელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევის შეგრძნება, ანთება პირის ღრუში (წყლული), ტკივილები მუცლის არეში, მუავა რეფლუქსი, გემოს დაკარგვა, მადის დაკარგვა ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: ჰემოგლობინის შემცირება (ანემია), ნეიტროფილური პოლინუკლეარების შემცირება (ნეიტროპენია) და თრომბოციტების შემცირება (თრომბოპენია) სხვა: ხველება, თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, დაღლილობა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	მომწელებელი სისტემის დარღვევები თუ დიდი რაოდენობით დაკარგეთ წონა და/ან სწრაფი და ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე გადიხართ კუჭში ტკივილები პირის ღრუს არეში ან წყლული, რომლებიც ხელს გიშლით ნორმალურ კვებაში არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში. ფილტვების არეში დარღვევები დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება ჰემორაგიის მაჩვენებელი სიმპტომები სისხლი განავალში ან ღებინების შემთხვევაში ჰემატომები(ჩალურჯებები), ცხვირიდან სისხლდენა ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში თავის ტკივილები
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი, გაიკეთეთ პირის ღრუ სავლები სოდის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
სისხლდენა	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებას(იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) გააფრთხილეთ თქვენი ექიმი: თუ მოიხმართ ანტიკოაგულანტებს და თრომბოციტურ ანტიკოაგულანტებს: აუცილებელია განსაკუთრებული მეთვალყურეობა ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევისას
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ-ბოჭკოვან საკვებს. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.



გულისრევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
გემოს შეგრძნების დარღვევები	მიიღეთ თბილი ან ცივი საკვები პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში. მოერიდეთ სამზარეულოს მეტალის ქურჭელს.
პირის ღრუს ანთება (წყლული)	მოერიდეთ მჟავა ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.
წონის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელ კვებას“.
მჟავა რეფლუქსი	მორეიდეთ ალკოჰოლის მოხმარებას. უპირატესობა მიანიჭეთ ფრაქციულ კვებას

